მუზეუმების ჩამონათვალი

(შენიშვნა: ეს ჩამონათვალი შესაძლებელია კიდევ შეივსო, რის შესახებაც ინფორმაცია არ არის ასახული მასალაში)

მოამზადა მაია ინასარიძემ

N	მუზეუმის დასახელება	ინფორმაცია მუზეუმის შესახებ
1.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქუჩა 3. ტელ. 299 80 22. ყველაზე დიდი სამუზეუმო გაერთიანებაა საქართველოში. მის შემადგენლობაშია: 10 მუზეუმი, ეროვნული გალერეა, 4 სახლ-მუზეუმი და 2 სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ეროვნულ მუზეუმში თავმოყრილია მრავალი კოლექცია: ევრაზიაში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთები, უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ბუნების ისტორიის ამსახველი მასალა, ქრისტიანული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა – ჭედური და ფერწერული ხატები, ჯვრები, ნაქარგობა, ტიხრული მინანქარი; პირველხარისხოვანი აღმოსავლური ძეგლები, ნუმიზმატიკის მდიდარი კოლექცია, ოქროსა და ვერცხლის ნატიფი სამკაულები ანტიკური კოლხეთიდან, სხვადასხვა დროის ქართველი და ევროპელი მხატვრების შესანიშნავი ნამუშევრები. ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებულია: საქართველოს მუზეუმი ხელოვნების მუზეუმი ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ თბილისის ისტორიის მუზეუმი საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი ეროვნული გალერეა მუზეუმები რეგიონებში: ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი სვანეთის მუზეუმი დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი სიღნაღის მუზეუმი ძალისას მუზეუმ-ნაკრძალი სახლ-მუზეუმები :

		ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი სამეცნიერო ცენტრები: ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი ლეო დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი საცავები: თბილისის არქეოლოგიური საცავი მცხეთის საცავი გურჯაანის საცავი
2.	აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი	მისამართი: თბილისი, გ. ცაბაძის ქუჩა №6. ტელ. 32 34 09 67; 32 34 09 63 აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში მოქმედებს: სპეციალური საბავშვო საგანმანათლებლო პროგრამა "ფერების ძალა", რომელიც მუზეუმში დაცულ ბუნებრივი საღებავების კოლექციაზეა დაფუძნებული. პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან საინტერესო ისტორიებს საღებავების შესახებ. პრაქტიკული ნაწილში ისინი თავისი ხელით დაამზადებენ ოპტიკურ სანიშნებს და გადაეცემათ სამახსოვრო ბუკლეტები. "Dora's gift" -სხვადასხვა სახალისო და საინტერესო თამაშების ნაკრებია, რომელიც შეგიძლიათ მუზეუმში სპეციალურად მოწყობილ დორას ოთახში ითამაშოთ. შვეიცარიელი არტისტი დორა ჰოფერი აბრეშუმის მუზეუმის დიდი ხნის მეგობარია. იგი აგროვებდა სხვადასხვა ფერის პატარა ზომის აბრეშუმის ქსოვილების კოლექციას, რომელიც მან მუზეუმს გადასცა საჩუქრად. გადაწყდა, რომ კოლექცია საცავში შენახვის ნაცვლად გამოფენილიყო და ყველა დამტკბარიყო მისი სილამაზით. კოლექციის გაცოცხლების მიზნით კი მუზეუმში მოქმედებს სამაგიდო, შემეცნებითი თამაშები, რომელზეც მოხვდრა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. პროგრამა ჯგუფზეა გათვლილი (5 ან მეტი ადამიანი) და მოქმედებს მხოლოდ რომელიმე გამოფენის დათვალიერების შემთხვევაში. აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში მოქმედებს "საზაფხულო სკოლა". სკოლა 3 კვირიანია და 8-15 წლამდე მოზარდებს სთავაზობს საინტერესო, სახალისო და შემეცნებით აქტივობებს მუზეუმის გარშემო. გარდა ამისა, მონაწილეები შეხვდებიან საინტერესო სტუმრებსა და ექნებათ ვიზიტები მუზეუმის ახლოს მდებარე სხვადსხვა დაწესებულებებში. საზაფხულო სკოლა მხოლოდ საკმარისი მონაწილეების შეკრების შემთხვევაში იმუშავებს.

3.	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	მისამართი: ქუთაისი, პუშკინის ქ.18 ტელეფონი: (+995 431) 24 56 91 მუზეუმში დაცულია ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშები ძვ.წ. IX-VII სს.-დან გვიან შუასაუკუნეების ჩათვლით. მათ შორისაა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანისა და ანტიკური პერიოდის ძეგლები, ბერძნული, რომაული, ბიზანტიური და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის, ყოფისა და კულტურის ამსახველი იშვიათი ნაკეთობანი, უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლებისა და უნიკალური ქართული ხელნაწერების კოლექცია, სიგელ-გუჯრები, ეთნოგრაფიული მასალები, ოქრომჭედლობის, ლითონის, კერამიკის, ტყავის, მინის, ქსოვილის, ხის ნაწარმის უაღრესად საყურადღებო ნიმუშები.
4.	ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. 25 ტელეფონი: 2 14 32 03 კოლექციის მოკლე აღწერა: ოპერის ძველი და ახალი სპექტაკლების პროგრამები, აფიშები, მოსაწვევები, აგრეთვე ხელნაწერები, ფოტოები, ნეგატივები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, წიგნები, ოპერის შენობისა და მისი სცენის მაკეტები, მომღერალთა კოსტიუმები, მემორიალური ნივთები და საჩუქრები.
5.	რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. 17 ტელეფონი: 2 98 40 51 კოლექციის მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია მასალები თეატრში მოღვაწე რეჟისორებსა და მსახიობებზე (პირადი ნივთები, ხელნაწერები, ფოტომასალა); აგრეთვე თეატრის მხატვართა (ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ი. გამრეკელი, ს. ქობულაძე, ს. ვირსალაძე და სხვ.) ესკიზები; თეატრის აფიშები და პროგრამები. მუზეუმს გააჩნია ბიბლიოთეკა.
6.	კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 8 ტელეფონი: 2 953 582 კოლექციის მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია მასალები თეატრში მოღვაწე რეჟისორებზე, მხატვრებზე, დრამატურგებზე; აგრეთვე თეატრის მხატვართა მაკეტები და ესკიზები; ელენე ახვლედიანის, პეტრე ოცხელის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის და სხვა ცნობილ მხატვართა ნამუშევრები.
7.	ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი	მუზეუმი მდებარეობს გორში მუზეუმში თავმოყრილია უნიკალური ექსპონატები: მემორიალური ნივთები, საჩუქრები, ფერწერული ტილოები, ფოტო- კინო დოკუმენტები. დაცულია იმ ეპოქის ამსახველი ისტორიული მასალა, რომელშიც მოღვაწეობდა სტალინი. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონარული ექსპოზიცია მუზეუმის ექვს დარბაზშია განთავსებული. პირველ დარბაზში განთავსებული ექსპოზიცია ასახავს სტალინის რევოლუციამდე და

		რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდს. მეორე დარბაზში 1925-1940 წწ საბჭოთა ქვეყნის ისტორიის პერიოდია ასახული. აქ ისტორიული მოვლენების ფონზე ნაჩვენებია ი.ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ბრძოლა ქვეყნის განვითარებისათვის. მესამე დარბაზში მეორე მსოფლიო ომის ამსახველი ფოტო- დოკუმენტებია წარმოდგენილი. განსაკუთრებული კუთხე აქვს დათმობილი თეირანის, იალტის, და პოტსდამის კონფერენციებს. ამავე დარბაზში ცალკე კუთხე აქვს დათმობილი ი.ბ. სტალინის პირად ცხოვრებას. მეექვსე დარბაზში განთავსებულია სტალინის პირველი სამუშაო კაბინეტი, სადაც მუშაობდა 1918- 1922 წლებში და მისი მემორიალური ნივთები. ცალკე ოთახი აქვს დათმობილი რეპრესიების პერიოდს. რეპრესიების ოთახი მუზეუმში 2010 წლიდან მოქმედებს.
8.	[საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი]	მისამართი: თბილისი, კარგარეთელის ქ. 6 ტელეფონი: 2 95 35 63 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმის ფონდებში ინახება ძველი და თანამედროვე ქართული თეატრის, კინოს, მუსიკის და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი უმდიდრესი მასალა. მათ შორისაა: XVII-XX ს.ს-ის ფერწერის ნიმუშები, სპარსული მინიატურები, გერმანული და ფრანგული გრავიურები, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების მემორიალური ნივთები და არქივები. თეატრალური კოსტიუმები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები, აფიშები, პროგრამები, კინოფირები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების კოლექციები და სხვა. მუზეუმი განთავსებულია გრაფ ოლდენბურგისა და პრინცესა დადიანის მიერ 1895 წელს აგებულ სასახლეში.
9.	[ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი]	მისამართი: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3 ტელეფონი: 2 364 184, 2 363 241 კოლექციების მოკლე აღწერა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაფუძნდა 2006 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბაზაზე (შეიქმნა 1958 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე). დღეისათვის ცენტრის ფონდებში დაცულია ხელნაწერები ქართულ, ბერძნულ, ებრაულ, სირიულ, ეთიოპურ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, სლავურ ენებზე (მოყოლებული I ს-დან XX ს-ის ჩათვლით). გამოფენები: "ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში", "ქართველი კალიგრაფები". (2006), "გელათური ხელნაწერები", "შობის ციკლი ქართულ მინიატურაში" (2008), "ქართული ხელნაწერი" (2009) და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამები: კონფერენციები, ექსპედიციები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხასიათის პროექტები.

10.	თბილისის I საჯარო სკოლის მუზეუმი	მისამართი: თბილისი , რუსთაველის გამზ. 10 ტელეფონი: 2 997243, 2 983428 კოლექციის მოკლე აღწერა: თბილისის I საჯარო სკოლის (ყოფილი თბილისის კ ლასიკური გიმნაზია) მუზეუმის კოლექცია მოიცავს სკოლის ორასწლოვანი ისტორიის ამსახველ მასალებს. მათ შორის: პირველი ქართული ობსერვატორიის აღჭურვილობა, საარქივო მასალები, XIX ს.-ის ლიტერატურული და სამეცნიერო გამოცემები, მუზეუმში ფუნქციონირ ებს უახლესი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საპრეზენტაციო დარბაზი .
11.	საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი	მისამართი: ყვარელი, შ. რუსთაველის ქ. 10 ტელეფონი: 2 296 604 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმი განთავსებულია საქართველო ს ეროვნული ბანკის შენობაში. მასში დაცულია: ფულის მოჭრისა და მიმოქცევის ისტორიასთან დაკავშირებ ული მასალები VI ს-დან XX ს-ის ჩათვლით: კოლხური თეთრი, ანტიკური მონეტები, სასანური დრამები, არ აბული დირჰემები, ქართველ მეფეთა (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე და ს ხვ.) მიერ მოჭრილი მონეტები,თურქული, რომაული, ირანული, ავსტრიული, პო ლონური და სხვა ქვეყნების ფულადი ნიშნები, აგრეთვე ფულის თემაზე გამოცე მული ლიტერატურა და ფულის მულტიმედიური გამოცემა (კომპაქტ-დისკზე). საგანმანათლებლო პროგრამები: მოსწავლეთათვის: „მოგზაურობა ფულის სამყაროში“, ”რას მოგვითხრობენ საფასეები“, სტუდენტებისათვის: „ფული საქართველოში, წარსული – თანამედროვეობა“, ”ფული და საგადახდო სისტემები საქართველოში, ეროვნული ბანკი – ფუნქციები და მოვალეობები“.
12.	ვანო სარაჯიშვილი ს სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორ იის ისტორიის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8. ტელეფონი: 2 99 91 49 კოლექციის მოკლე აღწერა: კონსერვატორიის მუზეუმის ფონდებში დაცულია ქა რთული მუსიკალურიკულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები (XIX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე). მათ შორისაა აფიშები, პროგრამები, ხელნაწერები, ქართველ მხატვართა მ იერ საოპერო სპექტაკლებისათვის შექმნილი ესკიზები და ლიბრეტოები, კონსე რვატორიის ისტორიის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტომასალა.
13.	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი	მისამართი: გრიბოედოვის 22, თბილისი ტელეფონი: 2 99 92 16 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია თბილისის სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა და პედაგოგთა ნამუშევრები (მოყოლებუ ლი XX ს-ის 30-იანი წლებიდან), ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ჩანახატები და ესკიზები.

14.	[თოჯინების მუზეუმი]	მისამართი: თბილისი, შავთელის ქ. №17ა ტელეფონი: 2 996511 მუზეუმი დამთვალიერებელს სთავაზობს: მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - წარმოდგენილია ევროპული ანტიკვარული და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მხატვრების მიერ შექმნილი სტატიკური თუ მექანიკური თოჯინები, გამოჩენილი ქართველი მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. დროებითი ექსპოზიცია - თანამედროვე ქართველი მეთოჯინეების, მხატვრების გამოფენები, სხვა ღონისძიებები. საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებული სხვადასხვა ასაკობრივ სეგმენტზე - საუბრები თოჯინურ ხელოვნებაზე, საუბრები ეთიკაზე, თოჯინების მასტერკლასი, შემეცნებით გასართობი ტური "გასეირნება ძველ ქალაქში". მცირე თოჯინური თეატრი - მეთოჯინეთა მოწვეული დასი წარმოადგენს ულამაზეს სპექტაკლებს. ბავშვთა ხელოვნების სტუდია - სტუდიის სახელოსნოებში ბავშვები ეუფლებიან სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. სამხატვრო სალონი და მასთან არსებული მინანქრის სახელოსნო - აქ ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეიძინოს სამახსოვრო საჩუქარი - საავტორო ხელთნაკეთი თოჯინები, ნატიფი სამკაულები და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნიმუშები.
15.	ანიმაციური თოჯინების მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ამაღლების ქ. 23 ტელეფონი: (+995 32) 2 995 788. (+995 599) 933 314 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმი საკუთარ სტუდიაში შექმნა ცნობილმა ქა რთველმა რეჟისორმა კარლოსულაკაურმა (1924- 2000), რომელიც 1989 წლიდან აგროვებდა ექსპონატებს. ამჟამად მუზეუმში დაც ულია ანიმაციურიკინოთოჯინების უნიკალური კოლექცია, რომლებიც შექმნილი იყო სხვადასხვა ქართული მულტფილმებისათვის ("სალამურა", "გოგონა და შად რევანი", საზამთრო", "ბომბორა" და სხვა) კარლო სულაკაურის, გივი კასრაძისა დასხვა ქართველ მხატვართა მიერ. აგრეთვე ესკიზები, ჩანახატები და საარქივო მასალები.
16.	[ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტ ის არქეოლოგიის მუზეუმი]	მისამართი: ჩოლოყაშვილის ქ. 3/5. ტელეფონი: 577 143314 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია დედოფლისწყ აროს რაიონში მდებარე ნაზარლების ნამოსახლარზე, სამაროვანზე და ხორანთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ასევე საგარეჯოს რაიონში მდებარე "უდაბნოს" ნამოსახლარის გათხრების მასალა და ფოტოები.
17.	[თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო]	მისამართი: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 13 (თსუ, VIII კორპუსი, IV სართული) ტელეფონი: (+995 32) 2 29 15 53 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმი გაიხსნა პროფესორ გურამ შარაძის (194 0-2007) პირადი ფონდის ბაზაზე – მუზეუმში დაცულია 1981 წლიდან მის მიერ მსოფლიოს თითქმის ყვ

	[უნივერსიტეტის მუზეუმი]	ელა კონტინენტიდან ჩამოტანილი ემიგრანტული უნიკალური წიგნები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეოარქივები, ცნობილ ემიგრანტთა მემ ორიალური ნივთები, ფერწერული ტილოები, ვიქტორ ნოზაძის ცნობილი პარიზული ქართული სტამბა და ა.შ.
18.	[აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი]	მისამართი: ბათუმი, ჯინჭარაძის ქ. 4 ტელეფონი: (+995 422) 7 11 75, 7 39 46 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია ძვ. წ. XII – IX სს-ის, აგრეთვე VII - IV სს. უნიკალური არქეოლოგიური მასალები: ანტიკური პერიოდის ბერძნული შავლაკიანი კ რატერი, გრავირებული ცულები, ე. წ. გონიოს განძის მასალები (ძვ. წ. V ს.). მათ შორის, სხვადასხვა სახის, ფორმისა და ზომის ძველი ქართულიოქრომჭედ ლობის ნიმუშები: ინტალიო აფროდიტეს და ეროსის გამოსახულებით, ბადრ ოს მტყორცნელის (დისკობოლი) ფიგურა, გულსაკიდები, სხვადასხვა მასალისგ ან დამზადებული მძივები, კილიტები, გულსაბნევები, საკულტო დანიშნულ ების სკულპტურები (ბრინჯაო), აგრეთვე: ბუნების იშვიათი ძეგლები, XIX-XX სს-ის მიჯნის ეთნოგრაფიული, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერ ები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები.
19.	[აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი]	მისამართი: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. 8 ტელეფონი: (+995 422) 7 38 94, 7 62 28 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია ცნობილ ქართველ და უცხოელ მხატვართა ფერწერული ტილოები (ნ. ფიროსმანი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, სტ. ბაკალოვიჩი, ზომერი, რ. ფეტვიაშვილი, ა. ზანკოვსკი და სხვ.), გრაფიკული (ნ. ჭურღულია, ლ. ზამბახიძე და სხვ.) ნამუშევრები, კერამიკის, ხის, მინის, ჭედურობის, გობელენის ნიმუშები, სკულპტურა (ე. ფანტარელი "ნიმ ფა და პატარა ფავნი", გ. ოჩიაური "პორტრეტი" და სხვ.).
20.	[ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი]	მისამართი: ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. 77 ტელეფონი: (+995 422) 2 36 94, 2 40 13 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია აჭარისწყლის ხეობის არქე ოლოგიური მასალა, ფიჭვნარის ნაქალაქარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ძვ. V-IV საუკუნეების ბერძნული ნეკროპოლისის, ძვ. წ. V ს-ის კოლხური სამაროვანის, ფიჭვნარის ელინიზმის ეპოქის სამარხეული და ციხისძი რის კომპლექსები, ქვის ხანისა დაჭოროხის ქვემო წელის არქეოლოგიური ძეგლე ბი.
21.	[პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი]	მისამართი: ქობულეთის რაიონი, სოფელი ციხისძირი ტელეფონი: (+995 590) 880 121 მუზეუმ-ნაკრძალის მოკლე აღწერა: მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ადრე შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეს, გვიანდელი ხანის საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობებს, V-VI სს. ბაზილიკის ნაშთებს, ანტიკური ხანის სამაროვნებსა და საცხოვრებელ ნაგებობათა (ე.წ. ვილის) ნაშთებს. ასევე, ტერიტორია ზე მიკვლეულია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, გვიან

		ბრინჯაო-ადრე რკინის ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე. ნაკრძალი სტერიტორია მოიცავს დაახლოებით 7 ჰა.
22.	[გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი]	მუზეუმ-ნაკრძალის მისამართი: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი გონიო ტელეფონი: (+995 595) 35 21 20 მუზეუმ-ნაკრძალის მოკლე აღწერა: მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს გონიო-აფსაროსის ციხისა და მიმდებარე ტერიტორიას. აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია ელინისტური ხანის მასალა, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, კერამიკის, ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს ნივთები, იუსტინიანე I-ის სპილენძის მონეტები და სხვა. მასალის ნაწილი ექსპონირებულია საგამოფენო დარბაზში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გონიოს განძი, რომელიც ძირითადად შედგება უნიკალური საიუველირო ნიმუშებისაგან და ამჟამად დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.
23.	[საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი]	მისამართი: სოფ. ვანი (+995 232) 2 16 02 მუზეუმის ექსპოზიცია მოიცავს პერიოდს ძველი წელთაღრიცხვის VIII-დან I ს-ის ჩათვლით. აქვეა ექსპოზიცია, რომელიც ვანის სატაძრო ქალაქად ყოფნის პერიოდს ასახავს. მუდმივ გამოფენაზე წარმოდგენილია არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, ბრინჯაოს ქანდაკებებისა და მათი ფრაგმენტების ექსპოზიცია.
24.	[წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი]	მისამართი: თელავი, სოფ. წინანდალი ტელეფონი: (+995 570) 70 34 89; (+995 570) 70 12 12 მუზეუმის კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმი განთავსებულია ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის-ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლეში (დღეს არსებული შენობა აგებულია 1886 წელს არქიტექტორ ა. ოზეროვის მიერ), სადაც თავმოყრილია როგორც მისი ცხოვრება-შემოქმედების, ასევე თანადროული ეპოქის მასალები - ეპისტოლარული და იკონოგრაფიული არქივი, XIX ს-ის სხვადასხვა სახის გამოცემები (ფრანგული, გერმანული, ინგლისური, პოლონური, სომხური), XVIII ს-ის ხელნაწერები, დ. ერმაკოვის ფოტოები, ფერწერისა დალითოგრაფიის ნიმუშები, აგრეთვე XVIII-XIX სს-ის ქართული, რუსული, ფრანგული ავეჯი, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, ჭურჭელი (ჩინური, იაპონური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ქართული, რუსული), მუსიკალური ინსტრუმენტები; 1830 წლიდან ალექსანდრე ჭავჭავაძემ წამოიწყო დეკორატიული პარკის განაშენიანება, რომელსაც ამჟამად უჭირავს 18 ჰა. პარკში უნიკალურ სუბტროპიკულ, სამკურნალო და ტექნიკურ მცენარეებთან ერთად გვხვდება ეგზოტიკური მცენარეებიც (ჩინეთი, ამერიკა, იაპონიიდან, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და სხვა); 1835 წელს, აქვე აშენდა ერთ-ერთი პირველი მარანი საქართველოში, სადაც დაცულია უნიკალური ენოთეკა (სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოსხმული 16 500-მდე ბოთლი ღვინო).

25.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი	მისამართი: სიღნაღი, თამარ მეფის ქ. 1 ტელეფონი: (+995 355) 3 24 48, 3 28 62, (+995 032) 2 998 022 მუზეუმის კოლექციების მოკლე აღწერა: სიღნაღის მუზეუმი პირველითანამედროვე სტანდარტების მუზეუმია, სადაც არაჩვეულებრივი ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და შუა საუკუნეების მასალა არის დაცული. მუზეუმში ექსპონირებულია კახეთის სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაზე აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების ნივთები ქვის ხანიდან ძვ.წ. I საუკუნემდე. აქ თავმოყრილია საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა: მუსიკალური ინსტრუმენტები, საბრძოლო იარაღი, ტანისამოსი და ქალაქის ყოფის სხვა საინტერესო ნიმუშები. შუა საუკუნეების ექსპოზიციაზე წარმოდგენილია იბერიის აღმოსავლეთ პროვინციის, კახეთის უძველესი ქალაქების: ბერის, რუსთავის ხორანთას, ნეკრესის, ხორნაბუჯის, გავაზის, არეშის, გრემის, ბაზარისა და სხვა დასახლებების საქალაქო ცხოვრების ამსახველი ნიმუშები. შუა საუკუნეების ექსპოზიციის დიდი ნაწილი კი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურული და მონუმენტური ფერწერის ნიმუშებს უკავია. დიდ დარბაზში გამოფენილია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე მსოფლიოს უდიდესი თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის 16 ფერწერული ტილო.
26.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ი. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი	მისამართი: ახალციხე, ხარისჭარაშვილის ქ.1 ტელეფონი: (+995 265) 2 162 მუზეუმი განთავსებულია ე.წ. “რაბათის” ტერიტორიაზე მასში დაცულია: რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი: ძველი ხელნაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული მასალა, ფოტოდოკუმენტები, ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა ფონდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ლაპიდარული წარწერების ნიმუშები, ასევე XIX-XX სს-ების მიჯნის ხალიჩა-ფარდაგების უნიკალური კოლექცია.
27.	ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი	მისამართი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. მირზაანი. მისვლა შესაძლებელია:მიკროავტობუსით - თბილისი-ზემო მაჩხაანი-მირზაანი. ნიკო ფიროსმანის მემორიალური კომპლექსი და საგამოფენო დარბაზი მირზაანში, აქ ნახავთ: უდიდესი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის (1862-1918 წწ.) მამაპაპისეულ ქვითკირის სახლს და მის ფერწერულ ტილოებს, პაბლო პიკასოს ლითოგრაფიას ,,ფიროსმანაშვილის პორტრეტი", ცნობილი მხატვრების (ვლ. გუდიაშვილის, ვ. სიდამონ-ერისთავის, თ. მირზაშვილის და სხვ.) ნამუშევრებს, ფიროსმანის შემოქმედებასთან დაკავშირებულ პეიზაჟებს. აქვეა დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმე. მუზეუმი მდიდარია ქიზიყური ყოფის ამსახველი ექსპონატებით, ფარდაგების კოლექციით.

28.	დიდი მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი	მისამართი: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ., 3, ტელეფონი: +995 590 880 112 დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი აერთიანებს მსოფლიო და ეროვნული მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლებს: სამთავროს სამაროვანსა (ძვ.წ. II ათასწ.-ადრე შუა საუკუნეები) და ნამოსახლარს (ძვ.წ. VIII-VII სს.), არმაზციხე-ბაგინეთს - ქალაქ მცხეთის აკროპოლისსა და ქართლის მეფეთა რეზიდენციას (ძვ.წ.I-ახ.წ. VIII სს.), არმაზისხევს-პიტიახშების რეზიდენციასა და სამაროვანს (ახ.წ. II-IV სს.) და ახ.წ. I ს. აკლდამას. მუზეუმ-ნაკრძალში დაცულია მცხეთისა და მისი ისტორიული უბნების არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მრავალფეროვანი მასალა (ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ვიდრე გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით) და ეთნოგრაფიული არტეფაქტები.
29.	სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი	მისამართი: სტეფანწმინდა, ალ. ყაზბეგის ქ.2 ტელეფონი: (+995 590) 880 111 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმი განთავსებულია ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის (1848-1890) მემორიალურ სახლში, სადაც მწერლის მემორიალურ ნივთებთან და ბიბლიოთეკასთან ერთად, დაცულია არა მარტო ხევის, არამედ კავკასიური კულტურისთვის დამახასიათებელი ნივთიერი და დოკუმენტური მასალა. კერძოდ, რეგიონის ყოფისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (XIX-XX სს-ის დასაწყისის საოჯახო ნივთები, აქსესუარები, ჭურჭელი, ფარდაგები, ხურჯინები), არქეოლოგიური მასალა (ნუმიზმატიკა, საბრძოლო და სამუშაო იარაღების ფრაგმენტები, სამკაული, მოსართავები, თიხისა და კერამიკის ჭურჭელი), საეკლესიო დანიშნულების ნივთები, წიგნები, ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები.
30.	ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი	მისამართი: ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძია ტელეფონი: (+995 590) 880 113 მუზეუმ-ნაკრძალის მოკლე აღწერა: მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს: კლდეში ნაკვეთ გრანდიოზულ კომპლექსს, ასეულობით დიდ და მცირე დარბაზს, ნატიფი ფრესკებით მოხატულ მთავარ ტაძარს თამარ მეფისა და გიორგი III-ის გამოსახულებებით (1184-1186 წწ.), კლდიდან ნადენ მუდმივტემპერატურიან წყაროს, საიდუმლო გვირაბსა და სხვ. ყორღანული ტიპის სამარხები, ანტიკური ეპოქის ნაქალაქარი, ადრეული თუ შუა საუკუნეების ციხე-ქალაქები, კლდის სოფლები, სხვადასხვა დანიშნულების ქვაბთა კომპლექსები. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი ტურისტებს სთავაზობს სამცხე-ჯავახეთის სხვა ისტორიული ძეგლების მონახულებას: ვარძიის სამონასტრო კომპლექსი (XII ს.), თმოგვის ციხე (IX-X სს.), ვანის ქვაბები (VIII - XVI სს.), წუნდის ეკლესია (XII-XIII სს.), ხერთვისის ციხე (X–XVIII სს.), ზარზმის მონასტერი (XIII-XIV სს.), საფარის მონასტერი (XIII ს.) და სხვ.

31.	ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	მისამართი: ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. 5 ტელეფონი: (+995 590) 880 122 მუზეუმის კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმის შენობა განთავსებულია რუსეთის საიმპერატორო ოჯახის – რომანოვების კანცელარიის შენობაში (ფსევდოგოთური სტილის არქიტექტურული ნაგებობა 1890 წელს ააგოგერმანელმა ინჟინერ-არქიტექტორმა ვ. შვეიერმა). ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შედგება არქეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გამოყენებითი ხელოვნებისა და მხარის ბუნების განყოფილებებისგან. აქ დაცულია: უნიკალური ბრინჯაოს სამკაული და იარაღი (ძვ.წ II-I ათასწლეულები), მრავალფეროვანი ნუმიზმატიკური კოლექცია (ძვ.წ V – ახ.წ. XX სს.), რომანოვების პირადი ნივთები: ევროპული და აზიური წარმოების ჭურჭელი, ფერწერული დაგრაფიკული ნამუშევრები.
32.	კლდეკარის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალი	მისამართი: წალკა, არისტოტელეს ქ. 19 ტელეფონი: (+995 90) 880 115 მუზეუმ-ნაკრძალის მოკლე აღწერა: ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს ისტორიული კლდეკარის საერისთავოს ტერიტორიაზე პირველი ერისთავის – ლიპარიტ ბაღვაშის მიერ IX ს-ის 70-იან წლებში აგებული ციხის ნაშთებს და ციკლოპური ტიპის ნაგებობებს, რომლებიც მდებარეობს ჯავახეთიდან თრიალეთზე ქართლში გადასასვლელ ერთადერთ ისტორიულ გზაზე; აგრეთვე თრიალეთისა და არგვეთის ხეობის შუასაუკუნეების პერიოდის მრავალრიცხოვან ძეგლებს, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის.
33.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი. დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი	მისამართი: დმანისის რაიონი, სოფელი პატარა დმანისი ტელეფონი: (+995 590) 880 115 მოკლე აღწერა: ძეგლი წარმოადგენს შუა საუკუნეების ნაქალაქარს, სადაც დღემდე მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. შუა საუკუნეების ნაქალაქარზე შემორჩენილია შიდა ციხე, საერო და საკულტო ნაგებობები. გარდა შუა საუკუნეების ფენისა, დმანისში ქართველი და უცხოელი სპეციალისტები იკვლევენ 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ გეოლოგიურ ფენას, რომელიც გამოირჩევა ადრეულ ჰომინიდთა და განმარხებულ ცხოველთა მრავალრიცხოვანი ნაშთით. 1991 წლიდან დღემდე დმანისის ძეგლზე აღმოჩენილია ჰომინიდის 5 თავის ქალა, რაც მსოფლიოს არცერთ ძეგლზე დღემდე არ დაფიქსირებულა. ამ გათხრების შედეგებმა საერთოდ შეცვალა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში მანამდე დამკვიდრებული მოსაზრება ჰომინიდების აფრიკიდან განსახლების შესახებ.
34.	ჰარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიუ	მისამართი: სენაკის რაიონი, სოფელი ნოქალაქევი ტელეფონი: (+995 590) 880 117 მუზეუმ-ნაკრძალის მოკლე აღწერა: მუზეუმ-ნაკრძალი წარმოადგენსკავკასიაში უანალოგო კომპლექსს – გვიან ანტიკური/ადრე შუასაუკუნეების ხანის ციტადელით, ეგრისის მეფეთა სასახლეების ნაშთებით (IV-VI სს.), კარიბჭითა და საიდუმლო გვირაბით, აგრეთვე სამეფო და სამოქალაქო აბანოებით, წყალსაცავით (IV-VI სს.), უძველესი ეკლესიების ნაშთებით, XVI-

	[რი მუზეუმ-ნაკრძალი]	XVIII სს. მხატვრობით შემკული ორმოც მოწამეთა გუმბათოვანი ტაძრითა და სხვ. მუზეუმში დაცულია სხვადასხვა ეპოქის საინტერესო ექსპონატები (ძვ. წ. XIII-XII – ახ. წ. XVIII სს.).
35.	[საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი]	მისამართი: სტალინის ქ, 40, დაბა მესტია ტელეფონი: (+995 32) 99 80 22 მუზეუმის კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, ქართული ჭედური ხელოვნებისა და ხატწერის უნიკალური ნიმუშები (X ს-ის მაცხოვრის ხატი, XI ს- ის I ნახევრის ხატები აღსაყდრებული ქრისტესგამოსახულებით და ასანის წმ. გიორგის ხატი, XII ს- ის "ორმოცი მოწამის ხატი" და"ჯვარცმის ხატი", ღვთისმშობლის IX-X სს- ის ფერწერული ხატები და სხვა, სარიტუალო ნივთები - IX-XIV სს- ის სამწერობლები და სხვა), უძველესი ხელნაწერები (XI-XIII სს- ის ჰადიშის, ლაბსყალდის, იენაშისა და მესტიის ხელნაწერი ოთხთავები მოჭედილი ყდებით), ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების საომარი აღჭურვილობის, რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობების, სამკაულების, ჭურჭლის, ქსოვილების ნიმუშები, ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.
36.	[გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ]	მისამართი: თბილისი, კუს ტბის გზატკეცილი №1 ტელეფონი: (+995 32) 2 23 09 60, 2 22 63 02 კოლექციების მოკლე აღწერა: ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმს (ღია ცის ქვეშ მუზეუმი) კუს ტბის ფერდობის ჩრდილოეთ ნაწილში უკავია დაახლოებით 65 ჰექტარი ტერიტორია. ამჟამად აქ განლაგებულია 70 საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუში საქართველოს სხვადასხვა კუთხეიდან. ღია ცის ქვეშ მუზეუმში წარმოდგენილია 14 ეთნოგრაფიული ზონა: ქართლი, კახეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, აჭარა, აფხაზეთი, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, და სხვა. გარდა ამისა, მუზეუმში დაცულია სხვადასხვა სახის ქსოვილის (ხალიჩები, ფარდაგები, ხალხური სამოსელის ნიმუშები), ხის, კერამიკის, ტყავის ნაკეთობანი.
37.	[ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი]	მისამართი: თბილისი, ლ. ქიაჩელის ქ. 12 ტელეფონი: (+995 32) 2 99 74 12 კოლექციების მოკლე აღწერა: სახლ-მუზეუმი დაფუძნდა ცნობილი ქართველი მხატვრის - ელენე ახვლედიანის (1901-1975 წწ.) ბინა-სახელოსნოს ბაზაზე. მხატვარი წლების მანძილზე სწავლობდა იტალიასა და საფრანგეთში (პარიზის კოლოროსის აკადემია), სადაც ინტენსიურად აწყობდა გამოფენებს, რომლებიც ფრანგ კრიტიკოსთა დიდ ინტერესს იწვევდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ,

		ელენე ახვლედიანის ბინა-სახელოსნო ხელოვნების თავისებურ სალონად იქცა, სადაც იმართებოდა პოეზიის საღამოები, კონცერტები. სახლ-მუზეუმში ექსპონირებულია მხატვრის მიერ სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ფერწერული ტილოები (ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები), გრაფიკული და სცენოგრაფიული ნამუშევრები; აგრეთვე მის მიერვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგროვებული უტილიტარულ-დეკორატიული ნივთები - XIX-XX სს-ის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.
38.	ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი	მისამართი: თბილისი, შ. დადიანის ქ. 28 ტელეფონი: (+995 32) 2 99 61 52, 2 45 27 09 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია XIX-XX ს.ს. მიჯნის საქართველოს და კავკასიის ქვეყნების ხალხთა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, ხის, ლითონის, ძვლის მხატვრულად დამუშავებული ნიმუშები (ძირითადად - სამკაული, ქამრები, იარაღი, საოჯახო ნივთები), აბრეშუმის, ტყავისა და მაუდის ნაწარმი, კავკასიური ხალიჩების კოლექცია, მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, გობელენები, ნაქარგობის ნიმუშები, მხატვარ-პრიმიტივისტთა ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები, ლატვიელი მხატვრის იული სტრაუმეს (1874-1970) კავკასიის თემაზე შექმნილი ესკიზებისა და ჩანახატების მრავალრიცხოვანი კოლექცია.
39.	შალვა ამირანაშვილ ის სახელობის ხე ლოვნების მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქ. 1 ტელეფონი: (+995 32) 2 99 99 09, 2 99 35 66 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციებში ძირითადად წარმოდგენილია ხელოვნების ნიმუშები შუა საუკუნეების ხანიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ოქროს ფონდს (საგანძური), სადაც გამოფენილია VIII-XIX სს-ის ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის უნიკალური ნაკეთობები (VIII-XV სს.), რიტუალური დანიშნულების საეკლესიო ნივთები, მხატვრული ნაქარგობის ნატიფი ნიმუშები, აგრეთვე შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერისა და მოზაიკის, ქანდაკების, ხატწერის, ხეზე კვეთის ნიმუშები. მუზეუმში დაცულია ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების კოლექცია (146 ფერწერული ტილო), გიგო გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძისა და სხვა ქართველ მხატვართა ნაწარმოებები, XVIII-XIX სს-ების რუსეთის, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებისა (ლუკას კრანახი, შარდენი და სხვ.) და აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ხელოვნების, მათ შორის, ყაჯარული პორტრეტების უმდიდრესი კოლექცია.
40.	გალაკტიონ ტაბიძის სახ ლ-მუზეუმი	მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 4 ტელეფონი: (+995 32) 2 94 01 34 კოლექციების მოკლე აღწერა: დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტა ბიძის (1891-1959) მემორიალური მუზეუმი განთავსებულია სახლში, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელ ი წლები გაატარა (1935– 1959). მწერლის სამუშაოოთახი და საცხოვრებელი გარემო თითქმის უცვლელად აა აღდგენილი. მემორიალური ნივთების გარდა, მუზეუმში დაცულია ფოტომასალები, ხელნაწერები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც გ ალაკტიონის ცხოვრების ერთგვარ მემატიანეს წარმოადგენს.

41.	ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ჩახრუხაძის ქ. N17 ტელეფონი: (+995 32) 2 99 06 99 კოლექციების მოკლე აღწერა: ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845 წწ.) სახლ-მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფოტომასალა, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, სხვადასხვა დანიშნულების XIX საუკუნის ყოფითი ნივთები, რომლებიც აღადგენს ხელოვანის თანადროულ გარემოს და დამთვალიერებელს აზიარებს XIX ს-ის თბილისურ ყოფას.
42.	საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი 3 ტელეფონი: (+995 32) 2 99 80 22 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პერიოდთან (1921-1991 წწ.) დაკავშირებული მასალები, რომელთა უმრავლესობა მოპოვებული იქნა უშიშროების არქივიდან, აგრეთვე სხვადასხვა მუზეუმის არქივებიდან, საცავებიდან, ოჯახებიდან. მათ შორისაა: სხვადასხვა სახის დოკუმენტები და ნივთიერი მასალები, დაკითხვის ოქმები, ფოტომასალები, ინსტალაციები. მუზეუმში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეძღვნება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს. ამჟამად მუზეუმი განთავსებულია სიმონ ჯანაშიას სახ. მუზეუმში და უახლოეს ხანებში გადაინაცვლებს ცალკე შენობაში.
43.	გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი	მისამართი: ჭანტურიას ქ. 8 ტელ: +995 (32) 293 50 19 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში ინახება როგორც ქართული ლიტერატურის ძველი და თანამედროვე, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშები: ხელნაწერები (XII ს. ოთხი სახარება, XVII-XIX ს.ს. ფილოსოფიურ-რელიგიური ნამუშევრები) და მემორიალური ნივთები (ავეჯი, ოჯახური რელიკვიები, ტანსაცმელი) ცნობილი ქართველი და უცხოელი მწერლებისა.
44.	იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი – ქარვასლა	მისამართი: თბილისი, სიონის ქ. 8 ტელეფონი: (+995 32) 2 98 22 81 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმის ფონდებში დაცულია თბილისის ისტორიასთან, ყოფასთან და კულტურასთან დაკავშირებული კოლექციები. მათ შორის, მდიდარიარქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, დოკუმენტური მასალა, ხალხურიგამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ბრინჯაოს ხანის იარაღი და თიხის ნაწარმი, ფეოდალური ხანის მოჭიქული და სხვა სახის თიხის ჭურჭელი, ქაშანურის და ფაიფურის ნაწარმი, საბრძოლო იარაღი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ნუმიზმატიკა, ქართველ და უცხოელ მხატვართა მხატვრული და გრაფიკული ნამუშევრები.
45.	ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-	მისამართი: თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქ. 7 ტელეფონი: (+995 32) 2 95 70 78, 2 95 72 68 კოლექციების მოკლე აღწერა: დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის (1837-1907 წწ.) ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი წარმოადგენს კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შე

	მემორიალური მუზეუმი	დისილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმი, ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სადაც მოთავსებული იყო გაზეთ “ივერიის” რედაქცია და სტამბა. მუზეუმში დაცულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები, ბიბლიოთეკა, დოკუმენტური და ფოტო მასალა, ილიას მიერ გამოცემულიჟურნალ-გაზეთები, ხელნაწერები, XIX-XX სს-ის დასაწყისის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, ილიასთხზულებათა გამოცემები და სხვ. მუზეუმს აქვს ორი განყოფილება - ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (მისამართი: თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. #22) და შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმი (მისამართი: თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. #13)
46.	მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი	მისამართი: თბილისი, მ. ჯავახიშვილის N21 ტელეფონი: (+995 32) 2 92 03 67 კოლექციების მოკლე აღწერა: ცნობილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის (1880-1937 წწ.) სახლ-მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მწერლის პირადი ნივთები და არქივი, ბიბლიოთეკა, მისი ცხოვრებისა დამოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები. რომლებიც დამთვალიერებელს აცნობს მწერლისშემოქმედებას და რთულ ცხოვრებისეულ გზას.
47.	მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის კულტურის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. 17 ტელეფონი: (+995 32) 2 72 15 71 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების მირზა-ფათალი ახუნდოვის, ნარიმან ნარიმანოვის და მამედ ყული ზადეს მემორიალური ნივთები, აგრეთვე საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა, წიგნები, დოკუმენტები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოცემები აზერბაიჯანულ ენაზე და სხვა.
48.	ტიციან ტაბიძის სახლ - მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. 18 ტელეფონი: (+995 32) 2 999 733 კოლექციების მოკლე აღწერა: ცნობილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის (1895 – 1937) მემორიალურ ბინა-მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია პოეტის პირადი ნივთები და არქივი, ბიბლიოთეკა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დამთვალიერებელს აცნობს მწერლის შემოქმედებას და რთულ ცხოვრებისეულ გზას.
49.	ზაქარია ფალიაშვილის სახლ - მუზეუმი	მისამართი: თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. 10 ტელეფონი: (+995 32) 2 99 81 16 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმში დაცულია დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის (1871-1933 წწ.) ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები: მემორიალური ნივთები, პირადი არქივი, კომპოზიტორის მიერ შექმნილი ოპერების (”აბესალომ და ეთერი”, ”დაისი”) პარტიტურების ორიგინალები, პირველი დადგმების აფიშები, სხვადასხვა დოკუმენტური და ფოტო მასალა, ხელნაწერები, ბიბლიოთეკა და სხვა.

50.	დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი	მისამართი: თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქ. 3 ტელეფონი: (+995 32) 2 98 59 92 კოლექციების მოკლე აღწერა: მუზეუმი წარმოადგენს ებრაელთა საქართველოშ ი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განძთსაცავსა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელ სამეცნიერო ცენტრს. იგი მფლობელია: მრავალი ექსპონატისა და რარიტეტისა - არქეოლ ოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეპიგრაფი-კული, ხელნაწერი, ნაბეჭდი, მხატვრული, არქივების, აუდიო-ვიდეო, ფოტო-სურათებისა და ა.შ.